საქართველოს კანონი

„არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №17-18, 14.05.1998, გვ. 7) 19^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 19^1. არქიტექტურული საქმიანობის სერტიფიცირება გარდამავალ პერიოდში

არქიტექტორს ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული არქიტექტურული პროექტის დასამოწმებლად 2025 წლის 1 დეკემბრამდე შესაბამისი სერტიფიკატის ფლობა არ მოეთხოვება.“.

მუხლი 2. ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 19^1 მუხლის მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

7 მარტი 2024 წ.

N4081-XIVმს-Xმპ